წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჩატარებული საჭიროებების კვლევა და გამოვლენილი შედეგები

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციისა და საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის მიერ "სამოქალაქო ბიუჯეტი, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ინსტრუმენტი საქართველოში" პროექტის ფარგლებში ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვა, როლმლის მიზანი იყო გამოგვევლინა მოახლეობის საჭიროებები. სამუშაოები ჩატარდა ორ ეტაპად, პირველი ეტაპი მოიცავდა ქალაქ წყალტუბოში შემავალ სამივე ზონაში (სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში, ქალაქი პირობითად დაიყო ზონებად) საჭიროებების კვლევას. კერძოდ, ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინა ზოგადი პრიორიტეტები და მიღებული პრიოროტეტების ფარგლებში მოსახლეობასთან ერთად განგვესაზღვრა კონკრეტული პროექტების რომელიც შემდეგ გათვალისწინებული იქნებოდა სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადების გაანალიზებისას. მეორე ეტაპი მოიცავდა წყალუბოს მუნიციპალიტეტის დანარჩენ თემებში საჭიროებების კვლევას, პირისპირ ინტერვიუს მეშვეობით, რათა მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისას გათვალისწინებული ყოფილიყო მოსახლეობის აზრი. ასოციაციის მიერ მუნიციპალიტეტში განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა პირისპირი ინტერვიუს მეშვეობით. გამოიკითხა მოსახლეობიდან 957 ოჯახი, რაც შეადგენს მოსახლეობის 1,7 პროცენტს და კერძო შინამეურნეობების (http://www.geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo) დაახლოებით 5,6 პროცენტს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები და გამოსაკითხი მოსახლეობის შესახებ			
	კერძო შინამეურნეობების რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა	გამოსაკითხი ადამიანების რაოდენობა
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	**17,032**	**56,883**	**957**
ქ. წყალტუბო	**3,936**	**11,281**	**246**
I ზონა			60
II ზონა			70
III ზონა			116
სოფელი გეგუთი	**1,087**	**5,049**	**71**
გეგუთი	1,087	5,049	71
გვიშტიბის თემი	**832**	**2,819**	**43**
გვიშტიბი	353	1,249	18
გუბისწყალი	139	443	7
თერნალი	238	774	12
პირველი წყალტუბო	102	353	6

გუმბრის თემი	**1,667**	**5,532**	**83**
გუმბრა	726	2,381	36
ბანოჯა	468	1,641	23
ხომული	473	1,510	24
დღნორისის თემი	**233**	**524**	**26**
დღნორისა	135	321	8
ლეხიდრისთავი	26	55	6
საჩხეური	34	72	6
ჭაშლეთი	38	76	6
მაღლაკის თემი	**1,305**	**4,464**	**66**
მაღლაკი	1,208	4,126	60
მიწაწითელი	97	338	6
მექვენის თემი	**164**	**334**	**21**
მექვენა	60	134	8
ბენთქოულა	...	13	4
დერჩი	79	159	6
ვანისჭალა	...	...	
ზედა ონჭეიში	...	...	
ქვედა ონჭეიში	5	16	3
მუხიანის თემი	**732**	**2,451**	**38**
მუხიანი	319	1,058	16
უკანეთი	98	319	6
ქვედა მესხეთი	315	1,074	16
ოფურჩხეთის თემი	**610**	**1,953**	**36**
ოფურჩხეთი	216	719	14
გუმათი	124	426	6
ნამოხვანი	50	147	4
ჟონეთი	116	334	6
ჯიმასტარო	104	327	6
სოფელი ოფშკვითი	**583**	**2,067**	**29**
ოფშკვითი	583	2,067	29
პატრიკეთის თემი	**714**	**2,888**	**19**
პატრიკეთი	335	1,319	
ტყაჩირი	379	1,569	19
რიონის თემი	**637**	**2,068**	**48**
რიონი	342	1,160	17
ზარათი	109	314	6
კუდოთი	0	0	0
მეჩხერი	22	81	7
ნოღა	20	68	6
სორმონი	95	306	6
ჭოლევი	49	139	6
სოფელი საყულია	**552**	**1,869**	**28**
საყულია	552	1,869	28
სოფელი ფარცხანაყანევი	**1,527**	**5,090**	**76**
ფარცხანაყანევი	1,527	5,090	76
ქვიტირის თემი	**914**	**3,357**	**45**

ქვიტირი	645	2,314	32
ზედა მესხეთი	269	1,043	13
ცხუნკურის თემი	**521**	**1,569**	**30**
ცხუნკური	269	777	13
ბესიაური	0	0	0
ყუმისთავი	212	673	11
ჩუნეში	40	119	6
წყალტუბოს თემი	**1,018**	**3,568**	**52**
წყალტუბო	657	2,330	33
ქვილიშორი	196	692	11
ჩუნეში	165	546	8

სულ გამოკითხული 957 რესპოდენტიდან 448 დედაკაცია, ხოლო 509 მამაკაცი.

ასაკობრივ ჭრილში გამოკითხული იქნა 18 დან 36 წლამდე 179 რესპოდენტი, 36 დან 56 წლამდე - 311 რესპოდენტი, ხოლო 56 წლის ზევით 467 რესპოდენტი.

გამოკითხული იქნა უმაღლესი განათლების მქონე - 241 რესპოდენტი, საშუალო განათლების მქონე - 475 რესპოდენტი, ტექნიკური განათლების მქონე 232 რესპოდენტი, და სხვა დანარჩენი 9 რესპოდენტი.

გამოკითულებიდან 720 რესპოდენტი უმუშევარია, 148 - კერძო სექტორშია დასაქმებული, ხოლო 88 - საჯარო სექტორში.

გამოკითული 957 რესპოდენტიდან 66 სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა, 45 დევნილია.

გამოკითხული მოსახლეობიდა 802 მოსახლე დასახლებულია კერძო ტიპის საცხოვრებელში, ხოლო 155 კორპუსის ტიპის საცხოვრებელში.

კითხვარის მეშვეობით რესპოდენტებს შესაძლებლობა ქონდათ დაეფიქსირებინათ მათი აზრით მოსაგვარებელი პრობლემები პრიორიტეტულობის მიხედვით. კითხვარი შედგებოდა ზოგადი პრიორიტეტებისგან. ზოგადი პრიორიტეტების მიხედვით კითხვარში არსებული ჩამონათვალიდან ყველაზე პრიორიტეტულ პრობლემად (რიგითობის მიხედვით) შიდა გზები, გარე განათება, საბავშვო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია, სასმელი წყალი, დასუფთავება, კანალიზაცია, სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.

მოსახლეობის მიერ დაფიქსირებული პრიორიტეტები თემების მიხედევით ასეთია:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები და გამოსაკითხი მოსახლეობის შესახებ			
	I	II	III
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	**შიდა გზები**	**გარე განათება**	**საბავშვო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია,**

ქ. წყალტუბო	საბავშვო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია,	კანალიზაცია	სადარბაზოები, სახურავები და ა.შ კორპუსებისათვის
სოფელი გეგუთი	შიდა გზები	კანალიზაცია	საბავშვო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია,
გვიშტიბის თემი	შიდა გზები	გარე განათება	საბავშვო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია,
გუმბრის თემი	შიდა გზები	სასმელი წყალი	გარე განათება
დღნორისის თემი	შიდა გზები	ტრანსპორტი	სასმელი წყალი
მაღლაკის თემი	შიდა გზები	გარე განათება	სასმელი წყალი
მექვენის თემი	შიდა გზები	გაზი	სასმელი წყალი
მუხიანის თემი	გაზი	დასუფთავება	შიდა გზა
ოფურჩხეთის თემი	სასმელი წყალი	გაზი	გარე განათება
სოფელი ოფშკვითი	შიდა გზები	გარე განათება	სასმელი წყალი
პატრიკეთის თემი	შიდა გზები	კანალიზაცია	დასუფთავება
რიონის თემი	შიდა გზები	გაზი	სასმელი წყალი
სოფელი საყულია	გარე განატება	სანიაღვრე	დასუფთავება
სოფელი ფარცხანაყანევი	შიდა გზები	დასუფთავება	გარე განათება
ქვიტირის თემი	შიდა გზები	გარე განათება	საბავშვო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია,
ცხუნკურის თემი	შიდა გზები	სასმელი წყალი	გაზი
წყალტუბოს თემი	შიდა გზები	გარე განათება	სასმელი წყალი

ჩვენს მიერ გაანალიზდა პრიორიტეტების რიგითობა სხვადასხვა ჭრილში, მაგალითად როგორიცაა გენდერული და ასაკობრივ ჭრილი აგრეთვე საცხოვრებლის ტიპის მოხედვით. აღნიშნული კუთხით ანალიზი გამოიყურება შემდეგნაირად.

პრიორიტეტები სხვადასხვა კატეგორიულ ჭრილში								
პრიორიტეტი	**საერთო**	**ქალი**	**კაცი**	**18-35 წლის**	**35-55 წლის**	**55+ წლის**	**კორპუსში მაცხოვრებელები**	**კერძო სახლში მაცხოვრებელი**
I	გზა	გზა	გზა	გზა	გზა	გზა	სადარბაზო, სახურავი, სარდაფი და ლიფტი	გზა
II	გარე განათება	გარე განათება	საბავშვო ატრაქციონები	საბავშვო ატრაქციონები	გარე განათება	გარე განათება	გზა	წყალი

III	საბავშვო ატრაქციონები	წყალი	გარე განათება	სპორტული მოედანი	წყალი	დასუფთავება	საბავშვო ატრაქციონები	გაზი
IV	წყალი	სპორტული მოედანი	წყალი	წყალი	სპორტული მოედანი	წყალი	კოპუსების შიდა ეზოების კეთილმოწყობა	გარე განათება

როგორც ანალიზი ცხადყოფს მუნიციპალიტეტში ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა არის შიდა გზები მოწესრიგება, აღნიშნული პრიორიტეტია ყველა კატეგორისათვის გარდა კორპუსში მცხოვრები მოსახლეობისა.

ძირითადი განსხვავებები საერთო მაჩვენებლიდან შეიმჩნევა ახალგაზრდა მოსახლეობაში (18-35 წელი) რომლებისათვისაც გზის შემდეგ აუცილებელი პრიორიტეტია ატარქციონები და შემდგომ სპორტული მოედნები. განსხვავებული პრიორიტეტი დაფიქსირდა აგრეთვე კერძო ტიპის დასახლებებში, როგორც ირკვევა მათვის ერთერთი ძირითადი პრიორიტეტი არის ბუნებრივი აირის პრობლემა. ხოლო დანარჩენ სხვა შემთხვევაში პრიორიტეტები თითქმის ანალოგიურია.

მოსახლეობის გამოკითხვისას (კითხვარში არსებული ჩამონათვალის გარდა) დაასახელდა პრობლემები რომელსაც ისინი თვილიან, რომ გამოსასწორებელია: კერძოდ, ფაროსანასთან ბრძოლა, უპატრონო ცხოველების კონტროლი, ოფურჩხეთის თემში - შეშის პრობლემაა, ხოლო წყალტუბოს თემში სკოლის და ა.შ.

ქ. წყალტუბოს პრიორიტეტების შესახებ შედეგების ანალიზი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციამ ჩაატარა კველვა ქალაქ წყალტუბოში. დაფინანსებულია საერტაშორისო სოლიდარობის ფონდის მიერ "სამოქალაქო ბიუჯეტი, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ინსტრუმენტი საქართველოში" პროექტის ფარგლებში. ჩვენი მიზანი იყო ქალაქში შემავალ სამ ზონაში ჩაგვეტარებინა საჭიროებების კვლევა. ზემოთ ჩამოთვლილ ზონებში განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა პირისპირი ინტერვიუს მეშვეობით. გამოიკითხა მოსახლეობიდან 246 ოჯახი, რაც შეადგენს მოსახლეობის 2,2 პროცენტს და კერძო შინამეურნეობების (http://www.geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo) დაახლოებით 6,2 პროცენტს.

შერჩევი წერტილი	**დასახელება**	კერძო შინამეურნეობების რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა	**გამოსაკითხი ოჯახების რაოდენობა**
	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	**17032**	**5688**	
1	**ქ. წყალტუბო**	**3936**	**11281**	**246**
1.1	I ზონა			60
1.2	II ზონა			70
1.3	III ზონა			116

სულ გამოკითხული 246 რესპოდენტიდან 152 დედაკაცია, ხოლო 94 მამაკაცი.

ასაკობრივ ჭრილში გამოკითხული იქნა 18 დან 36 წლამდე 58 რესპოდენტი, 36 დან 56 წლამდე - 65 რესპოდენტი, ხოლო 56 წლის ზევით 123 რესპოდენტი.

გამოკითხული იქნა უმაღლესი განათლების მქონე - 92 რესპოდენტი, საშუალო განათლების მქონე - 8 რესპოდენტი, ტექნიკური განათლების მქონე 68 რესპოდენტი.

გამოკითულებიდან 174 რესპოდენტი უმუშევარია, 38 - კერძო სექტორშია დასაქმებული, ხოლო 34 - საჯარო სექტორში.

გამოკითული 246 რესპოდენტიდან 28 სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა, 37 დევნილია.

გამოკითხული მოსახლეობიდა 103 მოსახლე დასახლებულია კერძო ტიპის საცხოვრებელში, ხოლო 143 კორპუსის ტიპის საცხოვრებელში.

კითხვარის მეშვეობით რესპოდენტებს შესაძლებლობა ქონდათ დაეფიქსირებინათ მათი აზრით მოსაგვარებელი პრობლემები პრიორიტეტულობის მიხედვით. კითხვარი შედგებოდა ორი განყოფილებისაგან პირველი შედგებოდა ზოგადი პრიორიტეტებისგან, ხოლო მეორე სამოქალაქო ბიუჯეტირებისთვის განკუთვნილი პრიორიტეტებისაგან. ზოგადი პრიორიტეტების მიხედვით კითხვარში არსებული ჩამონათვალიდან ყველაზე პრიორიტეტულ პრობლემად (რიგითობის მიხედვით) კანალიზაცია, შიდა გზები, საბავშვო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია, სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა, სადარბაზო, სახურავი, სარდაფი და ლიფტი , სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.

მოსახლეობის მიერ დაფიქსირებული პრიორიტეტები ზონების მიხედევით სეთია:

პრიორიტეტების დასახელება ზონების მიხედვით				
კოდი	**დასახელება**	**1**	**2**	**3**
1	I ზონა	კანალიზაცია	ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა
2	II ზონა	კანალიზაცია	სადარბაზო, სახურავი, სარდაფი და ლიფტი	საბავშვო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია
3	III ზონა	შიდა გზები	საბავშვო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია	სადარბაზო, სახურავი, სარდაფი და ლიფტი

გაანალიზდა კორპუსებში მაცხოვრებლების მოთხოვნები და პრიორიტეტები შეირჩა შემდეგი თანმიმდევრობით: 1. სადარბაზო, სახურავი, სარდაფი და ლიფტი, 2. შიდა გზები 3. საბავშვო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია.

მოსახლეობა თავის მხრივ (კითხვარში არსებული ჩამონათვალის გარდა) დაასაახელა პრობლემები რომელსაც ისინი თვილიან, რომ გამოსასწორებელია: უპატრონო ცხოველების კონტროლი, ბუნკერების გაუქმება, და ა.შ.

სამოქალაქო ბიუჯეტი

საერთო ზოგადი კატეგორიებიდან გამოირცა პატარა პროექტები. მოსახლეობამ განსაზღვრა რის გაკეთებას ისურვებენ ან რას შეცვლიდნენ თავის გარშემო პროექტით გამოყოფილი 150000 ლარით. გამოკითხვის მიზანი იყო პრიორიტეტების გამოვლენა რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია პროეტების მოწოდება. ასევი ეს პრიორიტეტები გამოყენებული იქნება, მოსახლეობის მიერ, პროექტების არჩევისას.

პრიორიტეტების დასახელება I ზონის მიხედვით				
N	**1**	**2**	**3**	**4**
	ინფრასტრუქტურა ბავშვებისათვის (საბავშვო მოედნები, ინფრასტრუქტურისა და მოწყობილობების განახლება, მათ შორის საბავშვო ბაღებში)	**მცირე რემონტების და სხვადასხვა წყლის, კანალიზაციის, გაზის მომარაგების, ელექტროსისტემის სფეროში**	**სპორტი (სტადიონებისა და კლუბების რეაბილიტაცია, აღჭურვა. სხვადასხვა სპორტული აქტივობები და ა.შ.)**	**საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მცირე მოწესრიგება (პსრკები, სკვერები, ეზოები, საკმეიკები, შემოღობვა და ა.შ)**
1	საბავშო ატრაქციონების მოწყობა	კანალიზაციის და სანიაღვრე სისტემის გაწმენდა	სტადიონი მოწყობა	სკვერების მოწყობა დასასვენებლად
2	საბავშო ბაღის კეთილმოწყობა		სხვადასხვა წრეების ჩამოყალიბება	სკამების მონტაჟი
3	ქორეოგრაფიული სტუდიის აღდგენა		ტრენაჟორების მოწყობა	ცივ ტბასთან სკვერის მოწყობა

პრიორიტეტების დასახელება II ზონის მიხედვით				
N	**1**	**2**	**3**	**4**
	ინფრასტრუქტურა ბავშვებისათვის (საბავშვო მოედნები, ინფრასტრუქტურისა და მოწყობილობების განახლება, მათ შორის საბავშვო ბაღებში)	**მიმდებარე გარემოს მოწესრიგება (სანაგვე ყუთების დადგმა, ქუჩების დასუფთავება და ა.შ)**	**საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მცირე მოწესრიგება (პსრკები, სკვერები, ეზოები, საკმეიკები, შემოღობვა და ა.შ)**	**მცირე რემონტების და სხვადასხვა წყლის, კანალიზაციის, გაზის მომარაგების, ელექტროსისტემის სფეროში**
1	საბავშო ატრაქციონების მოწყობა	ქუჩების დასუფთავება	სკვერების მოწყობა დასასვენებლად	კანალიზაციის და სანიაღვრე სისტემის გაწმენდა
2		ნაგვის ყუთების დადგმა	სკამების მონტაჟი	

პრიორიტეტების დასახელება III ზონის მიხედვით				
N	**1**	**2**	**3**	**4**

	ინფრასტრუქტურა ბავშვებისათვის (საბავშვო მოედნები, ინფრასტრუქტურისა და მოწყობილობების განახლება, მათ შორის საბავშვო ბაღებში)	**საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მცირე მოწესრიგება (პსრკები, სკვერები, ეზოები, საკმეიკები, შემოღობვა და ა.შ)**	**კულტურული ღონისზიებები (გასართობი პენსიონერებისათვის, ბავშვებისათვის, ფესტივალები, გამოფენები და ა.შ) კულტურული ხონისზიებები (გასართობი პენსიონერებისათვის, ბავშვებისათვის, ფესტივალები, გამოფენები და ა.შ)**	**სხვ და სხვა**
1	საბავშო ატრაქციონების მოწყობა	სკვერების მოწყობა დასასვენებლად	ბავშვებისთვის წამახალისებელი ღონსძიებები	მწოლიარე პოლიციელები
2	სტადიონი მოწყობა	სკამების მონტაჟი	პენსიონერებისათვის თავშეყრის ადგილების მოწყობა	საბავშო ბაღის აშენება უბანში

გამოკითხვის სედეგად გამოვლენილი პრიორიტეტები

სამოქალაქო ბიუჯეტირების კუთხით გამოკითხვით მიღებული შედეგები ასეთია პრიორიტეტულობის მიხედვით: საბავშვო ატრაქციონები, სკვერების მოწყობა დასასვენებლად, ტადიონების მოწყობა.

მოსასხლეობი მიერ წარმოდგენილი პროგრამების ანალიზი

სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში ქ. წყალტუბოში ჩატარდა მოსახლეობასთან შეხვედრები. შეხვედრების შედეგად მოსახლეობა წარმოადგინა 25 პროექტი 276403 ლარის ღირებულებით.

განხორციელდა პროექტების შერჩევა მოსახლეობის მიერ. შერჩევის პროცესს ესწრებაოდა ქ. წყალტუბოს 260 მცხოვრები.

სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტები							
#	**წარმომდგენი**	**პრიორიტეტი**	**პროექტის დასახელება**	**ზონა**	**მისამართი**	**თანხა**	**შედეგი კი/არა**
1	ავთანდილ ასათიანი	საგზაო ინფრასტრუქტურა	მწოლიარე პოლიციელების დამონტაჟება	1	შარტავა, შევჩენკ და 26 მაისის ქუჩები	800.00	კი
2	ანგელინა ჯოჯუა	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი, ატრაქციონები, სასრიალო და ქვისასი სატამაშო ადლილი	1	თამარ მეფის ქუჩა	7,800.00	კი
3	ბასიაშვილი ნათია	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის საქანელა, სასრიალო და ა.შ	2	კოსტავას #4	15,650.00	არა

4	ბენიძე გიორგი	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის საქანელა, სასრიალო და ა.შ	3	გურამიშვილი ს ქ.#2	3,583.00	კი
5	ბერაძე მარინა	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი, ფანჩატური, სავარჯიშო ძელაკი, მაგიდა სკამები	1	ვაჟა ფშაველას ქ. სტადიონის მიმდებარედ	5,000.00	კი
6	გელაშვილი მერაბ		სპორტული მოედანი	2	კეცხოველის ქ. 27	49,000.00	არა
7	ბიბილეიშვილი გერასიმე	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის საქანელა, სასრიალო და ა.შ	3	ბესიკის ქ. მიმდებარე #4 და #2 კორპუსებს შორის	10,220.00	კი
8	უგლავა გიგი	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სანიაღვე არხის მოწყობა, ქუჩების სახელწოდების აბრების მოწყობა	1	გორგასლის ქუჩა	4,200.00	არა (ისედაც დაგეგმილია 2019 წლის ბიუჯეტით)
9	აფხაძე გიორგი	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი, ფანჩატური, სავარჯიშო ძელაკი, მაგიდა სკამები	1	ჯავახიშვილის ქუჩა #20ა	5,000.00	კი
10	კახიძე ზურაბ	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	ფანჩატური წყაროსთან	2	ევდოშვილის #14	8,900.00	კი
11	კვაბზირიძე ხათუნა	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი საფეხბურთო მოედნის ირგვლივ	2	ტაბიძია 1ა მიმდებარედ	5,380.00	კი
12	ჯოხაძე კონსტანტინე	სპორტული მოედნების მოწყობა	იმედის მოედანი	1	ლორთქიფანიძის, ყაზბეგისა და ხვამლის ქუჩების გადაკვეტაზე #3 საჯარო სკოლის ეზოში	14,000.00	კი
13	კუჭავა ირაკლი	სპორტული მოედნების მოწყობა	სპორტული ტრენაჟორები	3	გურამიშვილი ს ქ.#4	17,700.00	კი
14	ლოლაძე გურამ	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი, ფანჩატური, მაგიდა სკამები	2	შანიძის #6	6,500.00	არა
15	ტყაბლაძე მალხაზ	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი, ფანჩატური, მაგიდა სკამები	2	9 აპრილის ქუჩა #9	8,300.00	არა
16	ნემსწვერიძე თამთა	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის საქანელა, სასრიალო და ა.შ	2	9 აპრილის ქუჩა #11 #13 მიმდებარედ	7,200.00	კი
17	ტყეშელაშვილი ანა	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის საქანელა, სასრიალო და ა.შ	2	ტაბიძის ქ #7	10,600.00	კი
18	ფაჩუაშვილი ნინო	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის და სანიაღვრე	2	გოგებაშვილი #2	9,900.00	კი

19	ქარდავა დოდო	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის	2	9 აპრილის 3-ე შესახვევი	50,000.00	არა (ვადის დარღვევ ის გამო)
20	ნაჭყებია ხათუნა	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი, ფანჩატური, სავარჯიშო ძელაკი, მაგიდა სკამები	1	26 მაისის ქ #10	5,000.00	კი
21	ჯიაძე თეა	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი, ფანჩატური, სავარჯიშო ძელაკი, მაგიდა სკამები	3	ჭავჭავაძის ქ #8	4,400.00	კი
22	ჯიქია კარლო	საგზაო ინფრასტრუქტურა	მწოლიარე პოლიციელების დამონტაჟება	1	ნინოშვილის ქ	1,600.00	კი
23	ჯიშკარიანი ვლადიმერი	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი, ფანჩატური, მაგიდა სკამები	2	ტაბიძის ქ #11	6,600.00	კი
24	ჯოხაძე ზეინაბ	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	სკვერი, ფანჩატური, მაგიდა სკამები, სასრიალო აიწონა დაიწონა	3	თბილისის ქ #5	14,070.00	კი
25	ნინო მიქაბერიძე	სკვერების, პარკები მოვლა-პატრონობა და ახალის მოწყობა	,,საზოგადოებრივი მეგობრობის ქოლგა"	1	შევჩენკოს ქ. #	5,000.00	კი
სულ ჯამი						**276,403.00**	

მოსახლეობის მიერ მუნიციპალიტეტის, ქ. წყალტუბოს და ქალაქში შემავალი ზონების მიხედვით გამოვლენილი პრიორიტეტებისა და წარმოდგენილი პროეტების შედარებით შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხვის შედეგად მიღებული პრიორიტეტები სრულ თნხვედრაშია წარმოდგენილ პროექტებთან. ვინაიდ მოსახლეობას თავიდანვე განემარტა, რომ სულ პროექტისთვის გამოყოფილი იყო 150000 ლარი, და ამ პროეტის ფარგლებში მიზანშეწონილი იყო მცირე ღირებულების პროექტების წარმოდგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსახლეობა არ წარმოადგინა ძვირად ღირებული პროექტები როგორიცაა გზები და კანალიზაცია.

მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პროექტები შემდგეი მიმარტულებებიტ დაიყო: სკვერებისა და პარკების მოწყობაზე (ქ. წყალტუბოში ეს შეადგენდა პირველ პრიორიტეტს) წარმოდგენილი იქნა 20 პროექტი თანხით 193303 ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა - 2 პროექტი თანხით 31700 ლარი, ხოლო გზებზე მწოლიარე პოლიციელების მოწყობაზე - 2 პროექტი, ტანხით 2400 ლარი. სულ წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცდა 19 პროექტი 142753 ლარის ღირებულებით.

ანალიზით ირკვევა, სამივე ზონაში მოსახლეობის გამოკითხვით დადგენილი პრიორიტეტბი ემთხვევა წარმოდგენილი პროგრამების მიმართულებებს.

პირველი ზონიდან წარმოდგენილი იქნა 9 პროექტი საერთო ღირებულებით 48400 ლარი. საიდანაც 6 პროექტი არის სკვერებისა და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, 2 საგზაო ინფრასტრუქტურა (მწოლიარე პოლიციელები), ხოლო 1 სპორტული მოედანის მშენებლობა. წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცდა 8 პროექტი 44200 ლარის ღირებულებით.

მეორე ზონიდან წარმოდგენილი იქნა 11 პროექტი საერთო ღირებულებით 178030 ლარი. საიდანაც ყველა პროექტი არის სკვერებისა და დასასვენებელი ადგილების მოწყობა. წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცდა 6 პროექტი 48580 ლარის ღირებულებით.

მესამე ზონიდან წარმოდგენილი იქნა 5 პროექტი საერთო ღირებულებით 49973 ლარი. საიდანაც 4 პროექტი არის სკვერებისა და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, ხოლო 1 სპორტული მოედანის მშენებლობა. წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცებული იქნა ხუთივე პროექტი.